



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 2 21 0001244337



18/11/2021

**წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების (შემდგომში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2021 წლის 09 დეკემბერს დაინიშნოს არჩევნები წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:
  - სამშენებლო ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
  - ენერგეტიკის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
  - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
  - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
  - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 3 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
  - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 3 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
  - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 3 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;

- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი -1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი.
- 2. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად ფაკულტეტიდან სტუდენტების კვოტით აირჩევა ფაკულტეტის სტუდენტი.
- 3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის სტუდენტების წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი.
- 4. წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) წევრი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.
- 5. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2021 წლის 26 ნოემბრიდან 2021 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით.
- 6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
  - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
  - ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტზე სტუდენტის სტატუსის შესახებ.
- 7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა 2021 წლის 26 ნოემბრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
- 8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტების საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
- 9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
- 10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
- 11. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე განთავსდეს სტუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.
- 12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
- 13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი  
გურგენიძე დავით

